ნესტან ფიფია

რუსთველისეული პერსონაჟები ბიოგრაფიულ რომანში

(როსტომ ჩხეიძის მერაბ კოსტავას ცხოვრების ქრონიკები - „ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“)

ანოტაცია: სტატიაში ხაზგასმულია ბიოგრაფიული რომანის სათაურის იდეურ-შინაარსობრივი დატვირთვა. ზოგადად, როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანების სახელწოდების ალუზიური ხასიათი. პარალელური მსჯელობის საშუალებით შედარებულია „ვეფხისტყაოსნის“ ტარიელ-ავთანდილი და XX საუკუნის ზვიად-მერაბი (ცხოვრების წესით, რაინდული მეგობრობით-ავთანდილ-ტარიელის რეალური სახე). აღნიშნული რომანის მხატვრულ-პუბლიცისტური თხრობის ფონზე საკვლევი საკითხის ნათელსაყოფად დამოწმებულია თითოეული მათგანის სახელის ეტიმოლოგია, რაც არსებითად მიმყვნებელია მთავარ სათქმელთან. „ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“ სათაურის ესთეტიკიდანვე კრავს მერაბისა და ზვიადის ცხოვრების გზას: აღმატებულ ხელოვნებასთან ზიარება, დიქტატორულ რეჟიმთან შერკინება, ბრძოლა ერის სულიერ-ცნობიერი მდგომარეობის სიჯანსაღისათვის. საგულისხმოა, რომ დოკუმენტური მასალები რომანში საოცარი მხატვრული უშუალობით არის გადმოცემული. მართალი მიდგომის, მწერლის შემოქმედებითი თავისთავადობის გამო თითოეული პასაჟი დამარწმუნებელია. მკითხველი თანაზიარი ხდება ამ ორი ხელდასხმული ადამიანის გაუბზარავი მეგობრობისა, ჭეშმარიტად ჯოჯოხეთურ გამოცდებს რომ გაუძლო საბჭოურ ყიამეთში, ასევე ეროვნული მოძრაობის პერიოდში -სათანადო სამსახურების მიერ პროვოცირებული თუ ადამიანური სულმდაბლობით ამპარტავნებააღზევებულ საქართველოშიც. ინფორმაციულ-ცნობიერი ნაკადის კორიანტელი: ლიტერატურის, მუსიკის, პოლიტიკის შრეთა სიღრმეებს რომ მოგატარებს და სათქმელს დახვეწილი თანმიმდევრობით მოგიტანს, როსტომ ჩხეიძის მიერ არჩეული მხატვრული ხერხია.ამ სქელტანიან ნაწარმოებს მთავარ ღერძად გასდევს ჭეშმარიტად რუსთველისეული რაინდული მეგობრობა მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიასი, განგებამ რომ შეკრიბა კონსტანტინე გამსახურდიას ფუძეზე, კოლხურ კოშკში. ისინი სულიერი წყობით ემსგავსებოდნენ რუსთველისეულ პერსონაჟებს, ბოროტთან ბრძოლის გზაც მსგავსი თვითგაღებით, უფლის მინდობით აირჩიეს.

საკვანძო სიტყვები: *,,ვეფხისტყაოსანი“, ტარიელი, ავთანდილი, ზვიადი, მერაბი, მეგობრობა.*

Nestan Pipia

Perspnages like Rustaveli's in a biographical novel

(Rostom Chkheidze's 'Son of music', 'Days of storm'- cronicle of Merab Kostava's life)

Annotation: In the article a summary account and ideological meaning in the title of the biographical novel and in general allusive style of Rostom Chkheidze's biographical novels is underlined. The author is drawing a parallel between ' The Knight in the Panther's Skin' Tariel-Avtandil and Zviad-Merab, people of the 20-th century. (A real face of Avtandil-Tariel, their life style, knightly friendship is shown). By telling above mentioned novel in artistic and publicistic way the etimology each of the names is proved to make clear the research question, which leads to the main point. From the aesthetics of the title 'Sons of music' and 'Days of storm' the author links the way of Zviadi's life to the highest art, eucharist and struggle against dictatorial regime, fight for the health of the nation's conscious and soul. It is significant that documental materials in the novel are shown with amazing frankness. For true attitude, creativity and originality each passage is convincing. The reader shares the true friendship of these two special friends who managed to face the challenges in Georgia where the soviet darkness and arrogance of national movement was rising. Artistic peculiarity of the work is that it guides you to informatical awareness through the deep lays of literature, music, politics and tells you everything with refined sequence. It is the method chosen by Rostom Chkheidze. This thick book carries true knightly friendship of Merab Kostava and Zviad Gamsakhurdia who where brought by fate on ruds of Konstantine Gamsakhurdia in Colchic tower. They were similar to Rustaveli's personages, the way of struggling with evil was chosen by them in the same way.

Key words*: 'The Knight in the Panther's skin', Tariel, Avtandil, Zviad, Merab.*

1918 წლის 26 მაისი სისხლის ღვარცოფით ჩამოქუფრა 1921 წლის 25 თებერვალმა.

და:

დასუსხული თავისუფლების მე-20 წელს- 1938 წლის 31 მარტის ზვიად გამსახურდია, ამავე წლის 26 მაისს მერაბ კოსტავა მოევლინენ ამ ქვეყანას.

მათ შექმნეს ეპოქა. ამ ეპოქას ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა ჰქვია, საბჭოთა საქართველოს იატაკქვეშეთში რომ დაიწყო და XX საუკუნის 80 - იანი წლების აზვირთებით მივიდა საბოლოო დამოუკიდებლობამდე. (1991 წლის 9 აპრილი)

ზვიადისა და მერაბის ცხოვრების გზა არის დასტური, იმის რომ ისინი სახელდადებული მისიით მოვიდნენ ამქვეყნად- ეს იყო მისია ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლისა. მათ იტვირთეს ხელდასხმის ვალი. ეს ორი სახელი შეიმთლიანა ცნობილმა ეპითეტმა ,,კოლხური კოშკის რაინდები"... აკი ეამაყებოდა მერაბს: ,,კონსტანტინეს მეც თავის მართვედ მივაჩნივარო".

მართვეობიდანვე აიყოლიეს ფიცი თავისუფლებისთვის თავდაუზოგავი ბრძოლისა. ზვიადისა და მერაბის სახე ჯერაც ცოცხალია მოგონებებში. მეტ-ნაკლებად გადაიარა დრომ;

დარჩა ნაყოფი მათი ბრძოლისა-ის, რაც ხელისგულზე დევს, მაგრამ თაობებს უნდა შემორჩეს მათი სრულყოფილი პორტრეტი. მომავლის წინაშე ამ ფუნქციის შემსრულებებლია ,,ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“. ეს არის როსტომ ჩხეიძის რიგით XXIII რომანი. მას რამდენადმე უსწრებდა ,,ეკლის გვირგვინი“ (რომანი-დილოგია ზვიად გამსახურდიას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე) ეს სახელწოდება გამჭვირვალე ბიბლიური პარადიგმაა. საგულისხმოა, რომ რომანების სათაურები უმეტესწილად ალუზიურია.

„ბურჯი ეროვნებისა“ (იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების ქრონიკა) - პირდაპირი ალუზიაა იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილისა.

„დევების სტუმარი“ – (ვაჟა-ფშაველას ცხოვრების ქრონიკა. ალუზია ვაჟა-ფშაველას პოემის სათაურისა „დევების ქორწილი“.)

„მგზავრი თიბათვის მზეში“ – (მიხაკო წერეთლის ცხოვრების ქრონიკა) გალაკტიონის თიბათვის მზის ალუზია და ა.შ.

„ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“ - მერაბ კოსტავას ცხოვრების ქრონიკები.

აქ ალუზიაზე არ ვსაუბრობთ, მაგრამ სათაურის შთაგონება არ არის ძნელი ამოსახსნელი და მაინც: ავტორი გვაკვალიანებს: იხსენებს კონსტანტინე გამსახურდია უმცროსის სურვილს: „კარგი იქნება თუ მერაბ კოსტავაზეც დაწერ...“ ისე, რომ მათი სიჭაბუკე ჩანდესო: „როგორ მოდის ორივე (მერაბი და ზვიადი -ნ.ფ.) მუსიკიდან და ფილოსოფიიდან... განსაკუთრებით მაინც მუსიკიდან“... (რ. ჩხეიძე - 5. 2017)

როსტომ ჩხეიძისთვის ეს ფრაზები სათაურის განმსაზღვრელიც გახდა, მწერლის შთაგონებას შეუწყვილა ზვიად გამსახურდიას მერაბისადმი მიძღვნილი გამოსათხოვარი ესეის სათაური „ ძე ქარიშხლისა“ და შედგა მრავლისმეტყველი, გარკვეული აზრით, მათი სულიერი წყობისა და ცხოვრების გზის დამტევი სახელწოდება- „ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“, ზვიადი და მერაბი ჭეშმარიტი მუსიკის მეტრფენი იყვნენ, ჰეროიკულ ჰანგებში იშვნენ თითქოს. მერაბ კოსტავა მუსიკამცოდნე იყო, ზვიადისთვის მუსიკა „შინ“ სამყარო იყო, საბოლოოდ ყოველივე ამან ჩამოაყალიბა იდეურ - მხატვრულ - რითმული მთლიანობის სათაური. „მუსიკას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გმირთა შინაგანი ბუნებისა და უმნიშვნელოვანეს სიტუაციათა გასახსნელად. იგი მოქმედებს სიტყვისა და განსჯის მიღმა, როგორც ერთგვარი ინტუიცია“ (კოსტავა - აგშ. 44:2009)

„ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“ არის ქარგა ხელდასხმულ ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობისა. ეს სქელტანიანი ნაწარმოები საოცარი ჰარმონიულობით ასახავს ეროვნულ

გმირთა სულიერ სამყაროს, ინტერესებს, ინტელექტს, პოლიტიკურ ბრძოლას, ხელოვნების ორი დიდი სივრცის: მუსიკისა და ლიტერატურისადმი მათ სიყვარულს - შემოქმედებით ურთიერთობას.

მერაბის ზღვარდაუდებელი სტოიციზმი ემთლიანებოდა მუსიკის სამყაროსთან უფაქიზეს ურთიერთობას. მუსიკისმცოდნე იყო... მის სამყაროში „ორი სული იბრძოდა მუსიკისა და პოეზიის, ვიდრე პოეზიის სული იმძლავრებდა, ოღონდ მუსიკის ტალღათა მძლავრ პულსირებას მუსიკიდან გადმოიტანდა სტრიქონებში“ (რ. ჩხეიძე -407: 2017). ამ სისავსიდან მოემართებოდა ქვეყნოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, უნებლიე პოლიტიკოსად ქცეული უგულითადესი ქართველი, ჭეშმარიტი ჭირისუფალი მამულისა.

მხარიმხარ იდგნენ ადამი-ანები (ადამი - პირველხატი უძლიერეს საწყისად რომ ჩასახლებოდათ, ღირებულის ერთგულების დამღით) ზვიადი და მერაბი. მხარიმხარ იდგნენ და უმთავრეს მიზნად ბრძოლისა, ქაჯთაგან დაპყრობილი ნესტანის (საქართველოს) - წითელი რეჟიმის კოლონიური პყრობილებისგან გათავისუფლების გზაზე უმნიშვნელოვანეს ამოცანად რწმენის აღდგენა მიაჩნდათ. სიტყვის ძალმოსლებას უნდა გაელღო ათეისტური ყინული, „საბჭოთა ადამიანებისათვის“ არსისმიერი ღირებულებები უნდა გაეცნობიერებინათ.

თვითგამოცემებით, პროკლამაციებით, ლექსებით, იგავებით, მეცნიერული გამოკვლევებით ნიადაგს ამზადებდნენ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერებისა.

ჯერ სიტყვა უნდა გათავისუფლებულიყო, სიტყვის არსი და ღირსება უნდა დაბრუნებოდა საზოგადოებას და ბრძოლაც ამით მოიკრებდა ძალას. რომანში ხაზგასმულია, რომ უნდა დაძლეულიყო „საგანგაშო მეტასტაზები“ ვულგალური მატერიალიზმისა, ვულგარული ნატურალიზმისა, უხეში სოციოლოგიზმისა ფსიქოანალიზურ ჭუჭყში ქექვისა - ფროიდიზმისა, „ანტილიტერატურისა“.

ზვიადსა და მერაბს მუსიკით, ლიტერატურით, პოლიტიკით უნდა ნათელეყოთ, რომ ,,ყოველი ადამიანი მოწოდებულია იმისკენ, აირჩიოს გზა ღმერთკაცობისა, მაღალი სულიერი იდეალის სამსახურისა, გზა საღვთო ქალაქის მოქალაქეობისა, სადაც უნდა გამეფდეს სიყვარული, ჭეშმარიტება და სამართლიანობა“. (რ. ჩხეიძე – 55: 2017)

ამ მისიის მტვირთველნი ტარიელ-ავთანდილობას იმეორებდნენ XX საუკუნეში. ისინი რუსთველისეული „შუენიერნი ამხანაგნი“ იყვნენ, განგების ნებით გადანასკვნულნი სამშობლოს ბედთან. რამდენად მრავლის დამტევია მერაბ კოსტავას სიტყვები: „ის, ვინც

ზვიადის წინააღმდეგია, წინააღმდეგია ჩემი და საქართველოსი“ („ოქროს საწმისი“ – 9: კრებული 2006).

მას სჯეროდა ზვიადის, მეგობრობის ზოგადად: „თუ მოხდა სასწაული და ჩვენს მეგობრობაში ბზარი გაჩნდა, მაშინ მე ვიტყვი, რომ მეგობრობა საერთოდ არ არსებობს, ეს კი უკვე ქვეყნის დანგრევას უდრის“ (რ. ჩხეიძე- 465: 2017).

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ ნაწარმოებს განსაკუთრებულ ძალმოსილებას აძლევს მწერლის მხატვრულ - პუბლიცისტური სტილი.

რომანში დოკუმენტური მასალები საოცარი მხატვრული უშუალობით არის გადმოტანილი. მართალი მიდგომის, სულიერი წყობის, შემოქმედებითი თავისთავადობის გამო თითოეული პასაჟი დამარწმუნებელია. ასეთია ეპიზოდი ზვიადის მონანიებისა, რომლის გამოყენებაც ბევრჯერ სცადეს მერაბისა და ზვიადის რაინდული მეგობრობის, ზოგადად - მოძრაობის დასანგრევად. მიზეზ-შედეგობრივი კავშირით ასახული ამ ეპიზოდის შემდეგ ავტორი საოცრად ტევადი, დასკვნითი ძალმოსილების ფრაზას გვიხვედრებს ოლღა დემურიას მოგონებით შემოტანილს: პატიმრობიდან დაბრუნებული მერაბი ოჯახში გამართულ მცირე წვეულებაზე თანამეინახისგან დახვავებულ ხოტბა-დიდებას რომ აღკვეთს და იტყვის: „პირველობა ეკუთვნის ზვიადს!“ (რ. ჩხეიძე - 464: 2017). მეგობრობის არსად ტარიელ-ავთანდილობა სახელდარქმეული იყო მათ სოცოცხლეშივე, მათ მიერვე. მერაბ კოსტავა ზვიად გამსახურდიას მიმართავდა:

,, ხომ ხედავ, როგორ გართულდა ომი,
ვაჰ, თუ ძალები შემომელია,
თუმცა მარადში ვარ თანადგომი,
ავთანდილობა ერთობ ძნელია“...

(„ძმას ქრისტესმიერს“- ,,მიჯნა“-5. 2019)

„საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების შუაგულში და მის წინამძღოლად ზვიად გამსახურდია უნდა ყოფილიყო - ნესტანის მძებნელი ტარიელი, ხოლო პირადად მისი როლი კვლავ იმითვე უნდა შემოფარგლულიყო, დატუსაღებამდე როგორც განსაზღვრულიყო- ავთანდილობით...

,,ავთანდილობა ერთობ ძნელიაო... თვითონ ირქმევდა ამ სახელს მათი პიროვნული ხასიათებიდან გამომდინარე“ (რ.ჩხეიძე- 472: 2017).

„ვეფხისტყაოსანში“ ტარიელ - ავთანდილის სულიერი ნათესაობა მრავალგან არის ხაზგასმული. პირველივე შეხვედრისას „უცხოობით არ დარიდეს.“ თინათინისგან დათქმული ვადის ამოწურვისას ავთანდილი არაბეთში მიდის, თუმცა მმადნაფიცს დაბრუნების ფიცს აძლევს. „იმ ღამესა ერთგან იყვნეს შვენიერნი ამხანაგნი“. ეს ერთად ყოფნა დაურღვეველია. ,,შუენიერნი ამხანაგნი“, ცხადია, მხოლოდ აღნაგობას არ გულისხმობს, ისინი სულიერი ,,შუენიერების“ ძალმოსილებით არიან შეკრულნი.

ზვიადი და მერაბი ამ ფიზიკურ-სულიერი მონაცემების რაინდები იყვნენ, სიყვარულის მაღალი იერარქიული საფეხურის მკვიდრნი - „შუენიერნი ამხანაგნი“.

და თუ სახელთა ეტიმოლოგიებს მივაქცევთ ყურადღებას: ტარიელი არის სიყვარული, კაბადოკიურ ენაში სიტყვა „ტარჰუალა“ ძლევას, გამარჯვებას ნიშნავს“ (ზ.გამსახურდია – 245: 1991)

„ვატანუდდინ“ (ავთანდილი) არაბულად ნიშნავს სარწმუნოების ბინას, კერას, სამშბლოს... პოემაში იგი წარმოადგენს სარწმუნოების, რწმენის პერსონიფიკაციას ანუ განსახიერებას, კერძოდ, ფილოსოფიური რწმენისას“ (ზ. გამსახურდია- 249 :1991).

თუ განსახილველ ნაწარმოებს მივუსადაგებთ რუსთველისეულ პერსონაჟებს, ყურადღებას ვამახვილებთ მათი სახელების ეტიმოლოგიაზეც. ზვიადი (ტარიელი) ქართული სახელია; ზვიადი მიზნისკენ სიყრმიდან თავგანწირულად, სრული თვითგაღებით მსწრაფი. მერაბი (ავთანდილი) რომ დაეუღლა მძიმე გზასავალზე, კურთხეული ერთგულებითა და მსხვერპლისუნარიანობით. მერაბი სახელის ეტიმოლოგიით არის „მზესავით ელვარე“ (ჭუმბურიძე - 556: 1987).

ვალერიან გაფრინდაშვილი ამბობდა: „სახელი უფრო ადრე აიყრის ტანს, ვიდრე სიტყვაო“. ალბათ ამაშიც არის ამოუხსნელი კანონზომიერება. „მზესავით ელვარეს“ (მერაბის) სულის ამოძახილი იყო:

,,შემაძლებინე, მაღალო ღმერთო,
მოყვასთა ჩემთა მუხლი ვუყარო.
მოძმე მკერდიდან არ მომიკვეთო,
ტრფიალი მისი არ განმიქარვო.
მის გულისტკივილს ვგრძნობდე უსიტყვოდ,
გავუადვილო წუთისოფელი,
აი, ყველაზე ნაღდი მუსიკა,
აი, ქართული საგალობელი“

მ. კოსტავა - 78 (აგშ - 37. 2009).

მერაბ კოსტავას „ძმას ქრისტესმიერს“ და ზვიად გამსახურდიას „წამებულ ძმისადმი“ მათი ურთიერთობის, დისიდენტური მოძრაობის, თავისუფლების მეტრფე რაინდთა სულიერი ბიოგრაფიაა ერთგვარად.

„და ეძიებდი ჭეშმარიტებას,

ვითა ტარიელ დაკარგულ ნესტანს...“

აქაც ზვიადი სახელდება ტარიელად. ზვიადი „წამებულ ძმისადმი“ მიძღვნაში ხაზს უსვამს ნათლის გამოხსნის მისიას:

,,ავაგოთ ქვაზე ტაძარი ჩვენი,

ბნელში მსხდომთ კვლავაც ავუნთოთ კვარი

და მიგვიძღოდეს ეკლიან გზაზე

წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი“.

როგორც ლოგოსი და მუსიკა ავსებს ერთმანეთს, ასეთივე სულის მთლიანობა იყო ზვიადი და მერაბი. მათ ქრისტესმიერ თანაზიაროზას ვერ შეეხო წუთისოფლის ზადი, ვერც სპეცსამსახურებმა დაარღვიეს მათი მთლიანობა. სწორედ ამ კურთხეული რაინდული ძმობის ჰიმნებია ეს მიძღვნები.

„ქრისტესმიერი“ და „წამებული“ ძმები დატყვევებულ საქართველოს რწმენის, თავისუფლების, სიყვარულის, თვითმყოფადობის მესიტყვედ მოევლინნენ. კოსმიური ძალმოსილების იყო მათი სიტყვა, რადგან ესაფუძვლებოდა ლოგოსის ერთგულება.

„მუსიკის ძეთა ქარიშხლიანი დღეები“ იწყება მათი ევროპელ შემოქმედებათა ეგზისტენციალიზმისადმი ცნობიერი დამოკიდებულების ასახვით. მთავრდება სხვა განზომილებაში ერთიანობით...

მამადავითზე მათი დამკვიდრება ღვთისმშობლის ღიმის მეტაფორით გამოხატა მაკა ჯოხაძემ: „საუკუნის მიწურულს ეს ღიმილი ორჯერ აღიბეჭდებოდა თბილისის ცაზე, მამადავითის შემოგარენში.

პირველად - როცა მერაბ კოსტავას ნეშტს მიიბარებდა წმინდა მთა

და მეორედ - როდესაც სიჩუმის მისტერიაში ქრისტესმიერი ძმის, ზვიად გამსახურდიას ნაწამები სხეული დაიკრძალებოდა მის გვერდით“ (რ. ჩხეიძე - 663. 2017).

1977 წლის 1 აპრილს მწერალთა კავშირიდან გარიცხული, 2007 წლის 1 აპრილს ერის სიყვარულით მოსილი ეროვნულ გმირად მიეახლა ძმას ქრისტემიერს.

მერაბ კოსტავას მიერ შეცნობილ - მიღებული ზვიადის სიმტკიცე და წრფელი ჭირისუფლობა ქვეყნისა დაადასტურა პრეზიდენტის 100-დღიანმა ჯოჯოხეთმა, როცა ლაკადის მთებს შეფარებული, თანამოაზრეებთან ერთად სხვადასხვა ერთგულ ოჯახს აფარებდა თავს.

შევარდნაძის განკარგულება: „მე ზვიად გამსახურდია ცოცხალი არ მჭირდება!“ ფეხდაფეხ მოსდევდა მათ.

დღეს ყველამ იცის, ზვიად გამსახურდიას ჰქონდა რეალური შანსი გასულიყო ქვეყნიდან, მან კატეგორიული უარი თქვა! ,,თქვენ თუ გინდათ, წადით. მე არსად არ მივდივარ!“- იხსენებს პრეზიდენტის კატეგორიულ პასუხს წალენჯიხის პრეფექტი ზურაბ გუჩუა (პრეზიდენტის დევნის ჯოჯოხეთური დღეების თანაზიარი).

„ჯერ კიდევ როდის არ ეპარებოდა ეჭვი მერაბ კოსტავას“. (რ. ჩხეიძე - 485. 2017) ვალერია ნოვოროდსკაიამ ზვიად გამსახურდიას „ჩვენი დროის მეფე მათეუში“ უწოდა.

ჩვენი ისტორია ვერ დაიკვეხნის თაობათათვის საინტერესო მასალის სიუხვით. „ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“ მხატვრული ისტორიაა XX საუკუნის II ნახევრის ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობისა, დამოუკიდებლობის მოპოვებამდე. ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას, სხვა მოღვაწეთა პირუთვნელი პორტრეტებია ასახული...

როსტომ ჩხეიძის ვრცელ მხატვრულ სამყაროს - ღირსეული თვითმყოფადი საქართველოსთვის მებრძოლთა ცხოვრების ქრონიკებს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას გვემულ - ჰეროიკული გზის ამსახველი ქმნილებებიც მიემატა.

ხვავრიელია სამკალი, მადლით ცხებულია მომკელი და იქმნება რომანები გაგრძელებად ოთარ ჩხეიძის „მატიანე ქართლისაის“ ციკლისა. მაინც გამომერჩევა ,,ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“; ალბათ იმიტომ, რომ ჩვენმა თაობამ გულსა და გონებაში გამოატარა ეს უმძიმესი ტკივილები ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისა, ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ასპექტში და როცა მწერალი იმ წლების მახასიათებელ ქაოსს, ბოროტებას, მსხვერპლისუნარიანობას, ღალატს, ერთგულებას, მოლოდინის გაწბილებას, მხატვრულ ყალიბში იმ წესრიგს მისცემს, რომ წიგნს ხურავ განცდით: აქ მთლიანობაა, მომავალ თაობებს აქვთ ნათელი სურათი- განსაკუთრებული სევდიანი მადლიერება ეუფლება მკითხველს. მერაბისა და ზვიადის გზას კოლხური კოშკიდან მთაწმინდამდე თვალს რომ მიადევნებ,

„ბორიაყის“ „ახალმოწესეთა“ იდეოლოგიურ - სულიერი მემკვიდრეები 90-იანი წლების ამ მძიმე დრო-ჟამით გიწყლულებენ სულს... და თუ ინფორმაციულ - ცნობიერი ნაკადის კორიანტელი დგას, მწერალი ლიტერატურის, მუსიკის, პოლიტიკის შრეთა სიღრმეს მოგატარებს, მკითხველი, ვისაც ეროვნული მოძრაობის მიერ გამოვლილი გზა, ჯანსაღად ევროპული საქართველო აინტერესებს ყოველთვის დიდი ინტერესით წაიკითხავს მერაბ კოსტავას ცხოვრების ქრონიკას ,,ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის“.

ლიტერატურა:

გამსახურდია ზვიად. 1991. *ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება.* თბილსი .

კოსტავა მერაბ. 2009*. აზრები. შეგონებები. გამონათქვამები* (აგშ). თბილისი.

მიჯნა. N 2-3 (13- 14). 2019 . (მერაბ კოსტავა ,,ძმას ქრისტესმიერს“)

ჩხეიძე როსტომ. 2015. *ეკლის გვირგვინი.* თბილისი.

ჩხეიძე როსტომ. 2017. *ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის.* თბილისი.

,,ოქროს საწმისი“. 2006. *თვითგამოცემის საიუბილეო კრებული.* თბილისი.

ჭუმბურიძე ზურაბ. 1987. *,,დედაენა ქართული“.* თბილისი.